alda* European Association for Local Democracy

# ახალგაზრდების მხარდაჭერა ინოვაციური შემოქმედებითი სწავლების ტექნიკის გამოყენებით

პროექტის ReCAP( ,,ჩართულობის ხელშეწყობა ინოვაციური სწავლების შემოქმედების ტექნიკით'') ფარგლებში, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით შემუშავდა სახელმძღვანელო, რომელიც ხელმისაწვდომია ონლაინ: ეს ინოვაციური სახელმძღვანელო ძირითადად განკუთვნილია ახალგაზრდული მუშაკებისთვის და მიზნად ისახავს პანდემიის შემდგომ, შემოქმედებითი სწავლების ტექნიკის გამოყენებით, სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სახელმძღვანელო წარმოადგენს პროექტის (ReCAP) ათი პარტნიორის დიდი თანამშრომლობის შედეგს, რომელსაც კოორდინაციას უწევს იტალიური ორგანიზაცია La Piccionaia: სახელმძღვანელო ეფუძნება საჭიროებათა ანალიზს. დოკუმენტში ნახსენები ინოვაციური ინსტრუმენტები ახალგაზრდულმა მუშაკებმა გამოსცადეს პროექტის ReCAP,,პანდემიის შემდგომ პერიოდში ახალგაზრდების ჩართლობის უზრუნველყოფა'' (ReCAP) ტრენერთა ტრენინგის დროს, რომელიც ჩატარდა ივნისსა და ივლისში.

პროექტის პარტნიორი La Piccionaia, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის შედეგებზე, კოორდინირებას უწევდა სახელმძღვანელოს შექმნის პროცესს. სახელმძღვანელოს შექმნის პროცესი ორ ეტაპს მოიცავდა:

- პარტნიორებისგან ინფორმაციის შეგროვება - თითოეული პარტნიორისგან მიღებულ იქნა ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნას მოწყვლადი კატეგორიის

ახალგაზრდებთან მუშაობისას. ინსტრუმენტების შერჩევის კრიტერიუმები წინასწარ იყო შეთანხმებული ყველა პარტნიორთან.
- ინსტრუმენტების გამოყენება და პრაქტიკაში დანერგვის უზრუნველყოფა - იმისათვის, რომ შერჩეული ტექნიკები მოერგოს მოწყვლადი ახალგაზრდების სპეციფიკურ საჭიროებებს, პარტნიორებს სთხოვეს შემოეთავაზებინათ მათი რთულ ვითარებაში მათი გამოყენებისთვის შესაძლო გადაწყვეტილებები და გზები.

შემუშავებული სახელმძღვანელო წარმოადგენს ინოვაციას ზოგადად ახალგაზრდული მუშაობის სფეროში: ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომლებიც უკვე იყენებენ შემოქმედებით აქტივობებს, როგორც სოციალური ჩართულობის ხელშეწყობის მეთოდებს, საბოლოოდ ექნებათ წვდომა სახელმძღვანელოს მეშვეობით პრაქტიკაში დატესტილ საშუალებებზე, რომელიც შეეხება ახალგაზრდების დასაქმების პერსპექტივის გაუმჯობესებას.

ამ სახელმძღვანელოს და განხორციელებული ტრენინგის წყალობით, ახალგაზრდული მუშაკები შეძლებენ თავიანთ ადგილობრივ კონტექსტში სპეციალურად შერჩეული ტექნიკის დანერგვას და ახალგაზრდების მხარდაჭერას.
პროექტის საბოლოო მიზანი არის სოციალური ჩართულობის კონკრეტული საგზაო რუქის შემუშავება (პროექტის მესამე შედეგი); საგზაო რუქა დაეხმარება თითოეულ პარტნიორს წარმატებით გამოიყენოს კონკრეტული შემოქმედებითი აქტივობები თავის ადგილობრივ თემებში.

ინგლისური ენის გარდა, სახელმძღვანელო მალე ხელმისაწვდომი იქნება ბულგარულ, ფრანგულ, ბერძნულ, იტალიურ, პორტუგალიურ, რუმინულ და ესპანურ ენებზე.

იხილეთ სახელმძღვანელოს ონლაინ ვერსია;

გაიგეთ მეტი პროექტის ReCAP შესახებ: https://www.alda-europe.eu/progetto/recap-inclusion-creativity-pandemic/

Office in Strasbourg
Council of Europe 1,
Av. de l'Europe
F-67075 Strasbourg, France
+33 3 90 21 45 93
aldastrasbourg@alda-europe.eu

Office in Brussels
26 rue de la Loi,
Mercator Building
4th Floor - Salon for European Civic Organisations
Brussels 1040, Belgium
aldabrussels@alda-europe.eu

Office in Vicenza
Viale Milano 36
36100 Vicenza, Italy
+39 04 44 54 01 46
aldavicenza@alda-europe.eu

Office in Skopje
Bld. Partizanski Odredi
43B/1-5
Skopje, 1000
North Macedonia
+389 (0) 2 6091 060
aldaskopje@alda-europe.eu

Office in Chisinau
Str. București Nr. 93 Of. 3.
Chișinău, MD-2012
Republic of Moldova
aldamoldova@alda-europe.eu

Office in Tunis
Rue Brahim Jaffel,
Imm. Azaiez
2 floor, Apt 4 El Menzah 4,
Tunis 1082, Tunisia
aldatunisia@alda-europe.eu

www.alda-europe.eu alda@alda-europe.eu ALDA.Europe ALDAeurope aldaeurope AldaEu